

## საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მიმოხილვა

### საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საინვესტიციო პროექტების სრული ციკლის დანერგვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რეფორმის ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის, მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის სრულყოფილად დანერგვის შედეგად გაუმჯობესდება პროექტების შერჩევის მექანიზმები და უზრუნველყოფილი იქნება ობიექტურ ანალიზზე დაფუძნებული პროექტების გათვალისწინება ბიუჯეტში. აღნიშნული კი თავის მხრივ გააუმჯობესებს საშუალოვადიან დაგეგმვას და სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენებას.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის რეფორმის დანერგვა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან შესაბამისი ცოდნის მიღებისა და ტრენინგების საჭიროების კუთხით. ამ მიზნით 2017 წლიდან შესაძლებლობების ფარგლებში, დონორების (WB, USAID, EU, GIZ და სხვა) მხარდაჭერით, უკვე ჩატარდა არაერთი ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა საქართველოს სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის და აქტიურად გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.

ბოლო წლებში მიღებული პრაქტიკიდან და საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილებით დამტკიცდა განახლებული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია. განახლებული მეთოდოლოგია ვრცელდება ყველა ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე (მათ შორის, 5 მლნ ლარამდე ღირებულების პროექტებზე) და პროექტის ღირებულების და სპეციფიკის მიხედვით მეთოდოლოგიაში დაკონკრეტებულია თუ რა სახის ინფორმაციის მომზადებაა საჭირო. კერძოდ: მეთოდოლოგიაში განისაზღვრა სამი კატეგორიის საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი:

- < მცირე საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს 5 მლნ ლარამდე ღირებულების საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტს.
- < საშუალო საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს 5 მლნ ლარიდან 20 მლნ ლარამდე ღირებულების პროექტს.
- < მსხვილი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს 20 მლნ ლარის და მეტი ღირებულების პროექტს.

მსხვილი ან ზოგიერთ შემთხვევაში საშუალო საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შემთხვევაში საბოლოო შერჩევის ეტაპზე, საინვესტიციო-კაპიტალური პროექტების შესახებ სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, პროექტის განხორციელების/არგანხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი ეკონომიკური საბჭო.

მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა საინვესტიციო პროექტების ელექტრონული მოდულის (ePIM) შექმნაზე, რომლითაც შესაძლებელი გახდება საინვესტიციო პროექტების სასიცოცხლო ციკლის თითოეულ ეტაპზე საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვა.

ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 ნოემბრის N433 ბრძანებით დამტკიცდა „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესი“. ამასთან, მიმდინარე წლის 22 ნოემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის N433 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის განახლებული შემადგენლობა და დებულება.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის დანერგვა მნიშვნელოვანი კომპონენტია ევროკავშირის ფინანსური დახმარების (EU - ეკონომიკური მმართველობა და ფისკალური ანგარიშვალდებულება) რეფორმის ფარგლებში.

### *სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის კაპიტალური პროექტების დანართი*

კაპიტალური პროექტების დანართის მომზადება საბიუჯეტო განაცხადის ნაწილია და ხორციელდება ბიუჯეტის მართვის ელექტრონული პროგრამის (eBudget.ge) მეშვეობით. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მოიცავს 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პერიოდისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული, „კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებული“ პროგრამების და ქვეპროგრამების ფარგლებში მიმდინარე და განსახორციელებელი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის პროგრამული კოდი და პროექტის დასახელება;
- პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- პროექტის აღწერა და მიზანი;
- პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი;
- დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ;
- პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- კაპიტალური პროექტების დაფინანსების მოცულობები, კერძოდ, გასული წლის ჩათვლით პროექტის ფაქტიური ხარჯი, მიმდინარე წლის გეგმა, დაფინანსების მოცულობები დასაგეგმი საშუალოვადიანი (4 წლიანი) პერიოდისთვის წლების მიხედვით და პროექტის მთლიანი ღირებულება.

საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მომზადებულია მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის

საფუძველზე და მოიცავს 71 კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებულ პროექტს (პროგრამა/ქვეპროგრამა) ჯამური მოცულობით 2024 წელს 3,9 მილიარდ ლარზე მეტია, ხოლო პროექტების მთლიანი ღირებულება 2024-2027 წლებში 16 მილიარდ ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტების მთლიანი ღირებულების 98 პროცენტამდე მიმდინარე, უკვე დაწყებული პროექტებია, რომელიც ძირითადად ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, (ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა, შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით, ასევე საჯარო სკოლების რეაბილიტაციის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმართულებით.

კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტებიდან 4 პროექტი წარმოადგენს ახალ კაპიტალურ პროექტს, რომელთა დაფინანსების მოცულობა ამ დანართში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების მოცულობის 1.3 პროცენტს შეადგენს 2024 წლისთვის, რაც საშუალოვადიან პერიოდში პროექტების ჯამური ღირებულების 2.9 პროცენტს შეადგენს.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024-2027 წლები			მათ შორის 2024 წლის პროექტი		
		სულ ჯამი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. დონორის დაფინანსება	სულ ჯამი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. დონორის დაფინანსება
24 06 05 01	დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობა	85,000.0	85,000.0	0.0	47,000.0	47,000.0	0.0
31 06 05 01	კლიმატკონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი (ADB)	51,860.0	18,535.0	33,325.0	500.0	175.0	325.0
31 06 05 02	საქართველო-ზემო სამგორის ირიგაციის პროექტი (EIB)	30,500.0	6,100.0	24,400.0	500.0	100.0	400.0
56 14	ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა	305,000.0	305,000.0	0.0	5,000.0	5,000.0	0.0
<b>ახალი პროექტების ჯამი</b>		<b>472,360.0</b>	<b>414,635.0</b>	<b>57,725.0</b>	<b>53,000.0</b>	<b>52,275.0</b>	<b>725.0</b>
<b>სულ კაპიტალური პროექტების დანართით წარმოდგენილი პროექტების ჯამი</b>		<b>16,161,567.6</b>	<b>12,595,002.6</b>	<b>3,566,565.0</b>	<b>3,936,705.0</b>	<b>2,771,630.0</b>	<b>1,165,075.0</b>
<b>ახალი პროექტების პროცენტული მაჩვენებელი ჯამურ მაჩვენებელთან</b>		<b>2.9%</b>			<b>1.3%</b>		

**2023 წლის განმავლობაში განხილული/შეფასებული ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მოკლე მიმოხილვა**

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს მოკლე შემჯამებელ ინფორმაციას ყველა ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტთან მიმართებაში, მათ შორის ძირითად დაშვებებს, მსჯელობის ლოგიკას და ანალიზის შედეგებს (NPV, IRR, ENPV, EIRR). დოკუმენტს თან ახლავს დანართები, რომელიც მოიცავს თითოეული პროექტის ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზს, მათ შორის დაშვებებს და მათგან გამომდინარე კალკულაციებს, პროექტის შექმნის, შენახვისა და ოპერირების ხარჯებს პროექტის სრული ციკლის მანძილზე (ანალიზის პერიოდი განსაზღვრულია მეთოდოლოგიით), შემოსავლების პროგნოზებს და მათ ალტერნატივებს.

პროექტების ნაწილისათვის სამუშაო ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია მათი შემდგომ ეტაპზე გადასვლა და ხარჯების საშუალოვადიან პროგნოზებში მათი ასახვა. ნაწილისათვის რეკომენდირებულია დამატებითი ანალიზი შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, ხოლო პროექტების ნაწილის დაფინანსებასთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფს ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია მათი ხარჯების პროგნოზებში ასახვა.

ცხრილში N1 მოცემულია ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ჩამონათვალი, რომელებიც შეფასებულია განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

***ცხრილი N1 - საინვესტიციო-კაპიტალური პროექტების რეესტრი (20 მლნ ლარზე მეტი)***

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროგრამული კოდი	პროექტის შეფასების სტატუსი
<b>ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები რომელთა ღირებულება აღემატება 20 მლნ ლარს</b>						
1	ახალი გუდაურის საბაგროს (15/D6C და 16/D6C) მშენებლობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	66,433,200.0	სახელმწიფო ბიუჯეტი	24 06 04	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება. აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წელს.
2	ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე პარკის მოწყობა	ქ. თბილისის მერია	26,008,917.8	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
3	კლიმატ გონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამა (CSISDP)	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	155,598,673.0	ADB, AFD, სახელმწიფო ბიუჯეტი	31 06 05 01	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროგრამული კოდი	პროექტის შეფასების სტატუსი
<b>ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები რომელთა ღირებულება აღემატება 20 მლნ ლარს</b>						
4	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში 3.5 კმ ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	88,200,000.0	სახელმწიფო ბიუჯეტი	24 06 05 01	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი იყო გადაწყვეტილების მიღება ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობის დასაწყებად. მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მიდგომების შესაბამისად, პროექტი არ საჭიროებდა დამატებით განხილვას, თუმცა ინიციატორის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტის კონცეფციის ბარათი და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დოკუმენტები, რომელიც განიხილა სამუშაო ჯგუფმა. ამასთან, პროექტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 სექტემბრის №1595 განკარგულებით.
5	ბათუმის მერიის მდგრადი ურბანული მობილობის პროექტი	ბათუმის მერია	38,225,626.3	KFW		პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა. სამუშაო ჯგუფი განიხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და მოამზადებს შესაბამის დასკვნას ეკონომიკურ საბჭოზე წარსადგენად.
6	მასალების აღმდგენი ობიექტის მოწყობა	თბილისის მერია / შპს თბილსერვის ჯგუფი	73,966,665.0	EBRD		პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა. სამუშაო ჯგუფი განიხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და მოამზადებს შესაბამის დასკვნას ეკონომიკურ საბჭოზე წარსადგენად.
7	ენერჯის შენახვისა და მწვანე წყალბადის სექტორის განვითარების პროგრამა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/ს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	378,757,472.5	ADB		პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა. მისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით მიმდინარეობს დამატებითი დოკუმენტაციების და გაანგარიშებების მომზადება პროექტის ინიციატორის მიერ.
<b>სულ</b>			<b>827,190,554.60</b>			

**1. ახალი გუდაურის საბაგროს (15/D6C და 16/D6C) მშენებლობა**

<b>დასახელება</b>	ახალი გუდაურის საბაგროს (15/D6C და 16/D6C) მშენებლობა
<b>წარმომდგენი</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

<b>განმახორციელებელი</b>	შპს „ემ თი ეი“	
<b>მოკლე აღწერა</b>	გაკეთდება ახალი გუდაურის და კუდების მთის დამაკავშირებელი 2 ახალი საბაგირო, შედეგად 2200 მეტრიანი ბაბლის ტიპის საბაგირო დაემატება გუდაურის კურორტს. საბაგირო იფუნქციონირებს 4 თვე / დღეში 8 საათი, კვირაში 7 დღე. მაქსიმუმ 96 სკამი გადაიყვანს მაქსიმუმ 19200 ადამიანს/ 1 სკამზე ეტევა 6 ადამიანი. ახალ საბაგირო 16/D6C-ს ექნება გამანაწილებლის ფუნქცია, აღნიშნული საბაგიროდან მოსრიალეს ექნება საშუალება მოხვდეს ყველა გუდაურის საბაგიროსთან.	
<b>ღირებულება</b>	66,433,200 ლ	
<b>დაფინანსების წყარო</b>	სახელმწიფო ბიუჯეტი	
<b>შეფასების პერიოდი</b>	15 წელი	
<b>ალტერნატივები</b>	<b>არაფრის კეთება</b>	<b>პროექტი</b>
<b>კაპიტალური ხარჯი</b>		66,433,200 ლ
<b>საშუალო წლიური ხარჯი</b>	13,404,773	14,709,925
<b>საშუალო წლიური შემოსავალი</b>	22,493,617	28,810,496
<b>NPV</b>		-15,375,411.0
<b>IRR</b>		5.59%
<b>ENPV</b>		124,699,918.6
<b>EIRR</b>		33.61%
<b>EB/C</b>		3.03

**2. ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე პარკის მოწყობა**

<b>დასახელება</b>	ქ. თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე პარკის მოწყობა
<b>წარმომდგენი</b>	ქალაქ თბილისის მერია
<b>განმახორციელებელი</b>	ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური
<b>მოკლე აღწერა</b>	პარკის ტერიტორია მდებარეობს დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ე.წ. კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე. პარკის განაშენიანების ფართობი უტოლდება 116800 მ <sup>2</sup> -ს. ტერიტორიის ლანდშაფტი არაერთგვაროვანია რელიეფის მკვეთრი ცვლილებებით რაც განსაკუთრებით საინტერესო განაშენიანების შესაძლებლობებს იძლევა, ასევე ტერიტორიის დიდი ნაწილი გაუმწვანებელია და განიცდის ხე ნარგავების ნაკლებობას. აღნიშნულ პარკთან მისვლა შესაძლებელია როგორც ცენტრალური მაგისტრალიდან ასევე, კალოუზნის ქუჩიდან, აღნიშნული პარკის ინფრასტრუქტურა მოემსახურება როგორც თავად სამხედრო ქალაქის მაცხოვრებლებს ასევე მის მიმდებარედ დასახლებულ ქუჩებსაც.

	აღნიშნული პარკი თავის სიდიდით იძლევა შესაძლებლობას, რომ განვითარდეს ბევრი სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთულობის ცენტრი, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ტერიტორია დაყოფილია ექვს ძირითად სივრცედ რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია, როგორც საფეხმავლო ასევე ველო ბილიკებით. ხაზგასასმელია რომ მოხდება მთლიანი პარკის ტერიტორიაზე მრავალფეროვანი ხე-ნარგავების დარგვა. ტერიტორიაზე განთავსდება კინოლოგიური პარკი, სკეიტ პარკი, ფამთრექი, მშრალი შადრევანი, პარკურ პარკი, ამფითეატრი, საბავშვო სივრცეები და სხვა.
<b>ღირებულება</b>	26,008,918 ლ
<b>დაფინანსების წყარო</b>	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
<b>შეფასების პერიოდი</b>	15 წელი
<b>საშუალო წლიური ხარჯი (ლარი)</b>	693,238
<b>NPV</b>	-20,284,988.6
<b>IRR</b>	-2.39%
<b>ENPV</b>	-4,733,165.33 ლ
<b>EIRR</b>	5.29%
<b>EB/C</b>	0.88

### 3. კლიმატ გონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამა (CSISDP)

<b>დასახელება</b>	კლიმატ გონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამა (CSISDP) (ქვემო სამგორის მოდერნიზაცია და აგროტექნოლოგიების/რწყვის ტექნოლოგიების განვითარება)
<b>წარმომდგენი</b>	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
<b>განმახორციელებელი</b>	შპს „საქართველოს მელიორაცია“
<b>მოკლე აღწერა</b>	კლიმატ გონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამა (CSISDP) მოიცავს ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის 17 კმ-ის რეაბილიტაციას, დაწინებითი მილსადენის მოწყობას ამჟამად არსებული ღია არხების ნაცვლად 7,316 ჰა-ს მოსარწყავად. პროგრამა ხელს შეუწყობს საირიგაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დემონსტრირებას ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის მარცხენა მაგისტრალურ არხზე. ქვემო სამგორის სისტემა სიონის წყალსაცავთან დაკავშირებული რეგიონული საირიგაციო კომპლექსის ნაწილია, რომელიც მოიცავს ასევე ზემო სამგორის საირიგაციო სისტემას და თბილისის წყალსაცავს. პროექტი გააუმჯობესებს კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობას ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, კერძოდ ღია არხების დახურული დაწინებითი მილსადენით შეცვლის, საშუალებით. ასევე, პროექტი მოიცავს წყალდამზოგავი რწყვის

	ტექნოლოგიების და ინოვაციური და კლიმატგონივრული აგროტექნოლოგიების დემონსტრირებას.	
ღირებულება	155,598,673 ლ	
დაფინანსების წყარო	ADB, AFD, სახელმწიფო ბიუჯეტი	
შეფასების პერიოდი	30 წელი	
ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი
საშუალო წლიური ხარჯი	2,569,072	9,931,194
საშუალო წლიური შემოსავალი	300,320	563,232
NPV		-178,849,250.3
IRR		#NUM!
ENPV		103,348,362.1
EIRR		14.77%
EB/C		1.66

#### 4. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში 3.5 კმ ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი

დასახელება	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში 3.5 კმ ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობა	
წარმომდგენი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
განმახორციელებელი	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება	
მოკლე აღწერა	2023 წელს განხორციელდა ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის პროექტირების ხელშეკრულების გაფორმება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული პროექტი. 2024-2025 წლებში იგეგმება სამშენებლო სამუშაოები. ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი იქნება 3.5 კმ სიგრძის და შესაძლებლობა ექნება მიიღოს E კატეგორიის საჰაერო ხომალდები	
ღირებულება	88,200,000 ლ	
დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი-85 მლნ ლარი, 3.2 მლნ-საკუთარი სახსრები	
შეფასების პერიოდი	15 წელი	
საშუალო წლიური ხარჯი (ლარი)	43,117,507	
NPV	-202,421,577 ლ	
IRR	#NUM!	
ENPV	9,606,732,241 ლ	
EIRR	#NUM!	
EB/C	30.62	

#### 5. ბათუმის მერიის მდგრადი ურბანული მობილობის პროექტი

<b>დასახელება</b>	ბათუმის მერიის მდგრადი ურბანული მობილობის პროექტი
<b>წარმოდგენი</b>	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
<b>განმახორციელებელი</b>	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
<b>მოკლე აღწერა</b>	<p>პროექტის ფარგლებში შეიქმნება ინტეგრირებული ჰკვიანი სატრანსპორტო სისტემები (ITS), შესაბამისი ინფრასტრუქტურული და პროგრამული უზრუნველყოფით, მართვის ცენტრით.</p> <p>ITS სისტემაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ქვესისტემები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უბანული მოძრაობის კონტროლის ქვესისტემა (UTC);</li> <li>• ცვლადი შეტყობინების ნიშნების ქვესისტემა (VMS);</li> <li>• CCTV ქვესისტემა;</li> <li>• ფეხით გადაადგილების ზონების ქვესისტემა (CFZ).</li> </ul>
<b>ღირებულება</b>	38,225,626.3 ლ
<b>დაფინანსების წყარო</b>	KFW სესხი
<b>შეფასების პერიოდი</b>	13 წელი

## 6. მასალების აღმდგენი ობიექტის მოწყობა

დასახელება	მასალების აღმდგენი ობიექტის მოწყობა /თბილისი, ლილოს ნაგავსაყრელი პოლიგონი
წარმომდგენი	ქ. თბილისის მერია
განმახორციელებელი	შპს თბილსერვის ჯგუფი
მოკლე აღწერა	<p>მასალების აღმდგენი/მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ობიექტი იღებს სეპარირებულად შეგროვებულ რეციკლირებად მასალებს და უზრუნველყოფს მათ სეპარაციას, დამუშავებას და შენახვას, ხელახალი წარმოებისა და გადამუშავების პროცესებში ნედლეულად გამოყენების მიზნით. ობიექტზე, შერეული რეციკლირებადი მასალების სეპარაცია, დამუშავება და გამოსაყენებლად ვარგის მასალებად გარდაქმნა სხვადასხვა სტანდარტული ოპერაციით ხორციელდება.</p> <p>მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ბიოლოგიურ საფეხურზე, ნარჩენები, რომლებიც უკვე მექანიკურად იქნა სეპარირებული (ე.ი. რეციკლირებადი ნარჩენები უკვე გამოცალკევებულია), გადის კომპოსტირების მსგავს პროცესს, რომელიც საბოლოოდ წარმოქმნის დაბალი ორგანული შემცველობის ნარჩენს.</p> <p>დახარისხებული მშრალი რეციკლირებადი ნარჩენები შერეულად შეგროვდება და სხვადასხვა ფრაქციებად მათი დახარისხება მასალების აღმდგენის ობიექტზე (დახარისხების ობიექტზე) მოხდება. არსებობს მასალების აღმდგენის სხვადასხვა კონფიგურაციის ობიექტები (როგორც არაავტომატიზებული, ასევე სრულად ავტომატიზებული). ევროკავშირის კვლევის თანახმად, მასალების აღმდგენის ობიექტების განსხვავებული ტექნოლოგიების (რომლებიც მუდმივად ვითარდება), ხელით და მექანიკური სეპარაციის მასშტაბების, წარმადობის (ერთ ცვლაში და ერთ დღეში), ობიექტებზე შესული მასალებისა და ობიექტებიდან გამოსული მასალების განსხვავებული მახასიათებლების გამო, ტიპური ობიექტის დადგენა რთულია. შესაბამისად, ჯამური ხარჯისა და ხარჯების კატეგორიების დასადგენად საჭიროა რიგი დაშვებების გაკეთება. ვიგულისხმეთ, რომ საქართველოსთვის მასალების აღმდგენის „სამაგალითო“ (თუმცა, მაინც საორიენტაციო) ობიექტი შედგება ლითონის შენობისაგან ორი ხაზითა და შემდეგი კომპონენტებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ნარჩენების მიღებისა და დამუშავების ზონა,</li> <li>- პარკების გამხსნელი და მიმწოდებელი კონვეიერი,</li> <li>- დოლური სეპარატორი,</li> <li>- ხელით დახარისხების კაბინა, შემალღებელი,</li> <li>- მაგნიტები შავი ლითონებისთვის და ელექტრომაგნიტური სეპარატორი ფერადი ლითონებისთვის (მასალების აღმდგენის არაავტომატიზებული ობიექტისთვის არ არის სავალდებულო),</li> <li>- ოპტიკური დამხარისხებელი (მასალების აღმდგენის ავტომატიზებული ობიექტის შემთხვევაში),</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>- პროდუქტების შესაფუთი ზონა,</li> <li>- ავტომატიზაციის, ელექტროსამონტაჟო და განაწილების სისტემა,</li> <li>- ოფისი/სადისპეტჩერო/პერსონალის ზონა,</li> <li>- პროდუქტების შესანახი ზონა,</li> <li>- წყალმომარაგების, კანალიზაციის, ხანძარსაწინააღმდეგო, ვიდეომეთვალყურეობის, ჰაერგაცვლისა და მტვრის მოშორების სისტემა,</li> <li>- მოძრავი აღჭურვილობა (ორკაპა სატვირთველები, სატვირთველები, მინი-სატვირთველი, სატვირთო მანქანები, კონტეინერები). "</li> </ul>
<b>ღირებულება</b>	73,966,665 ლ
<b>დაფინანსების წყარო</b>	EBRD სესხი
<b>შეფასების პერიოდი</b>	20 წელი

## 7. ენერჯის შენახვისა და მწვანე წყალბადის სექტორის განვითარების პროგრამა

<b>დასახელება</b>	ენერჯის შენახვისა და მწვანე წყალბადის სექტორის განვითარების პროგრამა
<b>წარმომდგენი</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>განმახორციელებელი</b>	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
<b>მოკლე აღწერა</b>	<p>შემოთავაზებული ენერჯის შენახვისა და მწვანე წყალბადის სექტორის განვითარების პროგრამა (SDP), ინვესტიციებისა და პოლიტიკის მხარდაჭერით გააძლიერებს ელექტრო ქსელის უსაფრთხოებას, გააუმჯობესებს მარეგულირებელ ბაზას და გზას გაუხსნის კერძო სექტორის უფრო მეტ მონაწილეობას ენერჯის შენახვისა და განახლებადი ენერჯის განვითარებაში, მათ შორის ქარის, მზის და მწვანე წყალბადის. პროგრამა მხარს უჭერს მთავრობის მიზნებს ენერჯეტიკის სექტორის რეფორმირებაში, ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის გაღრმავებისა და გადამცემი ქსელის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფაში. შემოთავაზებულ პროგრამას აქვს სამი მოსალოდნელი შედეგი (1): პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა რაც შესაძლებელს გახდის ბატარეის მდგრადი ენერჯის გამოყენების დაშვებას (2) შემუშავდება სამოქმედო გეგმა, პოლიტიკა და მარეგულირებელი ჩარჩო კერძო სექტორის მონაწილეობით მწვანე წყალბადის განვითარების წასახალისებლად (3) კლიმატის და კატასტროფებისადმი მდგრადი ელექტროენერჯის შესანახი ბატარეის სისტემის დამონტაჟება. სსე-სთვის ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარებულ კვლევაში ელექტროენერჯის შესანახი ბატარეის სისტემა წარმოჩნდა, როგორც ელექტროენერჯის ქსელის უსაფრთხოებისა კრიტიკული გადაწყვეტა და ახალი განახლებადი ენერჯის წყაროების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფი საშუალება. ეს პროგრამა ხელს შეუწყობს საჯარო ინვესტიციას ელექტროენერჯის შესანახი ბატარეის სისტემის დამონტაჟებაში (BESS), როგორც სწრაფი პასუხი ენერჯოსისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის საჭირო შენახვის</p>

	გადაუდებელ საჭიროებებზე და ასევე ხელს შეუწყობს ინსტიტუციური ჩარჩოს და სუფთა წყალბადის განვითარებისათვის საჭირო პოლიტიკის შემუშავება/გამდიერებას.
<b>ღირებულება</b>	378,757,473 ლ
<b>დაფინანსების წყარო</b>	აზიის განვითარების ბანკი (ADB)
<b>შეფასების პერიოდი</b>	21 წელი

**ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში 2024-2026 წლებში გათვალისწინებული ახალი კაპიტალური პროექტი - ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა**

რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი პრიორიტეტის ფარგლებში საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 56 14), რომლის ჯამური დაფინანსების მოცულობა 2024-2026 წლებში შეადგენს 305.0 მლნ ლარს. 2024 წელს დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოები და მათ შორის, შესაძლებელია განხორციელდეს რამდენიმე მცირე პროექტი, რისთვისაც გათვალისწინებულია 5.0 მლნ ლარი.

ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა (ITDP) არის ტერიტორიაზე მორგებული მიდგომის დანერგვის შესაბამისი ინსტრუმენტი, ევროკავშირის თანამედროვე კოჰეზიის (გათანაბრების) პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სექტორში ინვესტიციების განხორციელება შემდეგი მიმართულებებით: საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, წარმოება, ენერგოეფექტურობა, ადამიანური კაპიტალისა და სერვისების მიწოდების ხარისხი.

პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი ამოცანაა, საქართველოს შესაბამისი ცენტრალური და ადგილობრივი ინსტიტუტების მიერ ახალი უნარების შექმნა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდა, რათა ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

პროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტით, ევროკავშირის ტექნიკური და ფინანსური თანამონაწილეობით, მათ შორის საბიუჯეტო მხარდაჭერის სახით. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული იქნებიან: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი, ევროკავშირის დელეგაცია/საერთაშორისო ორგანიზაცია.

**ცხრილი N2 - საინვესტიციო-კაპიტალური პროექტების რეესტრი (20 მლნ ლარამდე)**

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროექტის შეფასების სტატუსი
8	სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტერიტორიაზე დამატებითი შენობის (ფლიგელის) მშენებლობა	სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	6,400,000.0	სსიპ-ის საკუთარი შემოსავლები	განიხილია სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
9	სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“-ს საოფისე სივრცის და საკვალიფიკაციო ცენტრის მშენებლობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	12,700,000.0	სსიპ-ის საკუთარი შემოსავლები	განიხილია სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
10	დიღმის ჭალების საქალაქო პარკის მშენებლობა	ქ. თბილისის მერია	13,285,186.0	ADB	განიხილია სამუშაო ჯგუფმა და რეკომენდაციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
<b>სულ</b>			<b>32,385,186.0</b>		

**8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტერიტორიაზე დამატებითი შენობის (ფლიგელის) მშენებლობა**

<b>დასახელება</b>	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტერიტორიაზე დამატებითი შენობის (ფლიგელის) მშენებლობა
<b>წარმომდგენი</b>	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
<b>მოკლე აღწერა</b>	<p>სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N84 საკადასტრო კოდი 01.14.13.004.002) აშენდება დამატებითი ფლიგელი.</p> <p>ახალი შენობის მშენებლობის შედეგად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განვითარდება საექსპერტო და საკვლევო მიმართულებები;</li> <li>• აღმოიფხვრება სამუშაო/სივრცითი გადატვირთულობა;</li> <li>• სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა ახალი ლაბორატორიები.</li> </ul> <p>ახალ შენობაში განთავსდება ბიუროს სამი დეპარტამენტი და შესაბამისი კურატორები.</p> <p>შენობა თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, მიეკუთვნება მე-4 კლასის ნაგებობას. დაპროექტებულია 7 სართულიანი, სწორკუთხა ფორმის შენობა, გაბარიტებით ღერძებში 15,8*22,00მ (1 სართული 347,6 კვ.მ).</p>

	სამუშაო სივრცე დაპროექტებულია დაახლოებით 120 თანამშრომელზე.	
<b>ღირებულება</b>	6,400,000.0 ლ	
<b>დაფინანსების წყარო</b>	საკუთარი სახსრები	
<b>შეფასების პერიოდი</b>	15 წელი	
<b>ალტერნატივები</b>	<b>არაფრის კეთება</b>	<b>პროექტი</b>
<b>კაპიტალური ხარჯი</b>		6,400,000.0
<b>საშუალო წლიური ხარჯი</b>	6,995,093	7,385,706
<b>საშუალო წლიური შემოსავალი</b>	9,448,538	9,813,703
<b>NPV</b>		<b>-4,186,342</b>
<b>IRR</b>		<b>-0.02%</b>

**9. სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“-ს საოფისე სივრცის და საკვალიფიკაციო ცენტრის მშენებლობა**

<b>დასახელება</b>	სსიპ-სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საოფისე სივრცის და საკვალიფიკაციო ცენტრის მშენებლობა
<b>წარმომდგენი</b>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>განმახორციელებელი</b>	სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
<b>მოკლე აღწერა</b>	<p>პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში ქვემო ფონიჭალის დასახლებაში სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ტერიტორიაზე 4000კვ.მ ფართის ოდენობის სამსართულიანი შენობის მშენებლობას და 11 000 კვ.მ მეტრის გარე სივრცის მოწყობას. აშენიშნული უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სააგენტოს თბილისის ფრონტ ოფისის საკმარისი ფართობით, რის გამოც აღმოიფხვრება რიგები და დაჩქარდება სააგენტოს სერვისები;</li> <li>- საკვალიფიკაციო ცენტრს ექნება ორი აუდიტორია და შესაბამისი სტანდარტით მოწყობილი პოლიგონი, რაც უზრუნველყოფს თეორიული ლექციების პარალელურად ჩატარების შესაძლებლობას ასევე, პრაქტიკული გამოცდების თუ მეცადინეობების დროულად ჩატარებას (ხარჯების დაზოგვის მიზნით იჯარით აღების შემთხვევაში ხდებოდა მსმენელების ერთ ჯგუფამდე შევსების ლოდინი);</li> <li>- სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ფართის ოთახებით, რაც საკმარისი იქნება მათი ეფექტიანი მუშაობისათვის, მათ შორის დაგეგმილი რეფორმების გათვალისწინებით;</li> <li>- მომხმარებელს, სააგენტოს თანამშრომლებს და ვიზიტორებს არ მოუწევთ საპარკინგე ადგილების ძებნა;</li> </ul>
<b>ღირებულება</b>	12,700,000 ლ

დაფინანსების წყარო	საკუთარი სახსრები	
შეფასების პერიოდი	15 წელი	
ალტერნატივები	არაფრის კეთება	პროექტი
საშუალო წლიური ხარჯი	6,990,217	6,919,401
საშუალო წლიური შემოსავალი	37,041,036	38,075,727
NPV		120,268.3
IRR		9.04%
ENPV		3,554,052.6
EIRR		15.17%
EB/C		1.39

### 10. დიდმის ჭალების საქალაქო პარკის მშენებლობა

დასახელება	დიდმის ჭალების საქალაქო პარკის მოწყობა
წარმომდგენი	ქალაქ თბილისის მერია
განმახორციელებელი	თბილისის განვითარების ფონდი
